ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 24 სექტემბერი 2004 №222 (2243) ფასი 50 თეთრი


ტრადიციული რაგბის მიმდევრებს სპორტის ეს სახეობა ბევრ ქვეყანაში ფეხბურთზე მეტად ეზიზღებათ. ფეხბურთი მოთამაშეებს მაინც არ ართმევს რაგბის...
13-კაცა რაგბიზე მოგახსენებთ, რომელსაც ლიგის რაგბისაც ეძახიან და ზოგ ქვექანაში, მაგალითად, ავსტრალიაში და, სხვათა შორის, რუსეთშიც, აუდიტორია არ აკლია. ამ დინამიურ და უფროს ძმაზე ნაკლებად ძალისმიერ სახეობას საკმაოდ დიდი ისტორია აქვს და დიდი ხნის წინათაც გამოეყო ტრადიციულ 15-კაცას, ჩვენში კი ახლალა იდგამს ფეხს. ლიგის რაგბის ჩვენებურ მოთავეებს, რომელთა შორის ტრადიციული რაგბის ძველი ქართველი ვარსკვლავი დავით კილასონიაა, უკვე ფედერაციაც ჩამოუყალიბებათ.
ერთი სიტყვით,

## 15 და 7 მარტო აღარ არიან 13 იწყებს

## ტკბილი ინტერვიუ ბოსფორის ბუღასთან

### შაქარ-შუქური, ჭიქა ჩაი და სალამი საქართველოს

...გვსურდა მოგება, ძალიანაც გვსურდა, მაგრამ ვერ შევძელით, ბურთი ყოველთვის შენს ნებაზე არ დაგორავს. თანაც, ჩემი აზრით, საქართველოს არცთუ ისე სუსტი ნაკრები ჰყავს...

...შესარჩევ ჯგუფში ფავორიტი, რა თქმა უნდა, თურქეთია. დანიასაც კარგი გუნდი ჰყავს და საქართველოსაც. ვისურვებდი, რომ ჯგუფში თურქეთმა და საქართველომ გაიმარჯვონ და მსოფლიოს ჩემპიონატზეც ერთ ჯგუფში მოვხვდეთ...

კობა ინასარიძის ინტერვიუ ჰაკან შუქურთან იხილეთ მესამე გვერდზე




## ქინქლაძემ ფეხბურთს ხელი მოაწერა



31 წლის გიორგი ქინქლაძე ფეხბურთს დაუბრუნდა — გუშინ მან ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი კვიპროსულ „ანართოსისთან“

## ოდინდელი ვარსკვლავი ერთხელაც იწყებს



ქინქლაძე სულ რამდენიმე დღის წინ ჩავიდა ფამაგუსტაში და ხელშეკრულებამას შემდეგ გააფორმა, რაც გუნდში რამდენჯერმე ივარჯიშა. შეგახსენებთ, რომ 2002-2003 წლების სეზონის შემდეგ ქინქლაძეს აღარ უთამაშია, თუ არ ჩავთვლით შარშანდელ სანაკრებო მატჩს ალბანეთთან. ქინქლაძე ბოლოს ინგლისის პირველი დივიზიონის „დერბი ქაუნთიში“ ირიცხებოდა.

ქინქლაძე „ანართოსისში“ მეხუთე ქართველია მოთამაშე-მწვრთნელ თემურ ქეცბაიას, ნახევარმცველ გიორგი გაბიდაურის და ფორვარდების — კლიმენტი წიტაიშვილის და დავით ჩალაძის მხარდამხარ.

გუშინ ტელეფონით ვესაუბრეთ ქეცბაიას და მან გვითხრა, რომ ქინქლაძე თამაშს ალბათ 2-3 კვირაში დაიწყებს.

ახლა კი ქინქლაძე დღეში ორჯერ ვარჯიშობს — დილით ინდივიდუალურად, ხოლო საღამოს გუნდთან ერთად. ქინქლაძე რომ ფეხბურთელობას დაუბრუნდა, ალბათ, ნაკრების ბოლოდროინდელი წარმატებებითაცაა განპირობებული — გიორგი ნაკრებში დაბრუნების იმედს არასდროს ჰკარგავდა.

მაშ ასე, 90-იანი წლების ყველაზე ნიჭიერი ქართველი ფეხბურთელი ერთხელაც იწყებს ფეხბურთის თამაშს.

დავით თავართქილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უეფას თასი 2004-2005

მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

თბილისი. 30 სექტემბერი. ეროვნული

## დინამო — ვისლა

# ვისლა დაშავდა, კასპერჩაკი დაიმალა

## პოლონური სათაურები ქართულ ქვესათაურად:

# თბილისში ომი იქნება!

## ვისლა უეფას თასიდან გავარდნის პირზეა



ტომაშ ფრანკოვსკის თბილისში თამაში საეჭვო გაუხდა

**„დინამოსთან“** საპასუხო მატჩამდე ერთი კვირით ადრე პოლონურ „ვისლას“ პრობლემები მიეძალა და შესაძლოა, თბილისში უძლიერესი შემადგენლობით ველარ ჩამოვიდეს.

საქმე ისაა, რომ კვირას, პოლონეთის ჩემპიონატის მეექვსე ტურში, „ვისლა“ — „ამიკას“ მატჩისას კრაკოველებს ერთბაშად ორი ფეხბურთელი — თავდამსხმელი ფრანკოვსკი და ცენტრალური მცველი კლოსი დაუშავდათ. ფრანკოვსკის კოჭი გადაუბრუნდა, კლოსს კი მეტოქემ ლამის თვალი წამოთხარა. ამ ფეხბურთელების გარდა „ვისლას“ გუშინწინდელი ვარჯიშისას კიდევ ერთი მცველი, სტოლარჩიკი დააკლდა, ისიც ფეხის ტკივილის გამო.

— „ვისლას“ მართლაც ცუდად აქვს საქმე. საეჭვოა, რომ თბილისში ფრანკოვსკიმ, კლოსმა და სტოლარჩიკმა ითამაშონ, არადა, ესენი გუნდისთვის შეუცვლელ ფეხბურთელებად ითვლებიან. ვნახოთ, „ვისლას“ ექიმები ჯერჯერობით ამ ფეხბურთელების ჯანმრთელობის თაობაზე ზუსტ და საბოლოო ინფორმაციას არ იძლევიან, ალბათ მათი მომჯობინების იმედი აქვთ — გვითხრა ჩვენმა პოლონელმა კოლეგამ მიხაილ ბიალონსკიმ.

მისივე თქმით, „დინამოსთან“ მატჩის მერე „ვისლა“ ისე ყოფილა გადაღლილი, რომ კვირას „ამიკასთან“ საშინაო მარცხს ბედად გადაურჩა. კრაკოველები მატჩის ბოლოსკენ კი დაწინაურებულან, მაგრამ მეტოქეს საპასუხო გოლის გარდა იმდენი ნაღდი მომენტი გაუნიავებია, „ვისლა“ ფრესაც არ იმსახურებდა.

კრაკოველებს თბილისში წამოსვლამდე ორი მატჩი კიდევ ელით. „ვისლამ“ ჯერ პოლონეთის თასზე უნდა ითამაშოს მესამელიგელ მეტოქესთან, შემდეგ კი ჩემპიონატში.

პოლონური პრესის ფურცლებს კი „დინამო“ — „ვისლას“ თემა არ შორდება. მაგალითად, გაზეთი „ვიბორჩა“ თურმე თბილისურ მატჩამდე თითქმის ყოველდღიურად ერთსა და იმავეს წერს: „თბილისში ომი იქნება“, „ვისლა“ უეფას თასიდან გავარდნის პირასაა“. მიხაილ ბიალონსკის თქმით, „ვისლამ“ თბილისშიც თუ ისევე ითამაშა, როგორც კრაკოვში „დინამოსთან“ და „ამიკასთან“, უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრის შანსიც არ ექნება. თუმც პოლონელი კოლეგა მაინც ოპტიმისტურადაა:

„ვისლას“ მწვრთნელის სიტყვებს გავიმეორებ, ვფიქრობ, რომ საპასუხო მატჩის წინ 60 პროცენტი ჩვენების სასარგებლოდაა, რაც უნდა იყოს, „ვისლას“ პირველი მატჩი მოგებული აქვს“ — გვითხრა ბიალონსკიმ.

თავად ჰენრიკ კასპერჩაკი კი პოლონურ მედიას „დინამოსთან“ მატჩის მერე არ შეხვედრია. კოლეგა ეჭვობს, რომ მწვრთნელი მწარე-მწარე კითხვებზე პასუხს ერიდება.

**ქობა ინასარიძე**

### ესპანეთი

პრიმერადივიზიონი
IV ტური

ბარსელონა 4:1 სარაგოსა

### შვედეთი

ალსვენსკა. XXI ტური

კალმარი 0:0 ჰელსინგბორგი
ელფსბორგი 1:0 გიოტებორგი
იორებრო 1:2 მალმიო
აიკ 1:1 იურგორდენი

თასის მეოთხედფინალი

იოსტერსი 2:0 ასირისკა

### ირლანდია

პრემიერლიგა. XXVII ტური

დუბლინი 0:1 კორკ სიტი
დერი სიტი 1:1 სენტ პატრიკსი

### ნორვეგია

თასის ნახევარფინალი

ლინი 1:0 ლილესტრიომი

### საქართველოს ჩემპიონატი

პირველი ლიგა 16 ლიგა
საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
პირველი წრე

## 6 ტური

კახეთი 2:1 რუსთავი
ცხინვალი 1:0 ჩიხურა
ოლიმპი 3:0 დინამო 2
ლოკომოტივი 2 0:0 ივერია
გურია 0:3 ვიტ ჯორჯია

დღეს

ბორჯომი — მაღაროელი
მერანი — საგარეჯო
ამერი — სპარტაკი

გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 6 | 4 | 1 | 1 | 13:3 | 13 |
| ამერი | 5 | 4 | 0 | 1 | 17:1 | 12 |
| ბორჯომი | 5 | 4 | 0 | 1 | 13:7 | 12 |
| კახეთი | 6 | 4 | 0 | 2 | 13:12 | 12 |
| დინამო 2 | 6 | 3 | 0 | 3 | 13:12 | 9 |
| სპარტაკი | 4 | 2 | 2 | 0 | 7:3 | 8 |
| ცხინვალი | 6 | 2 | 2 | 2 | 12:11 | 8 |
| გურია | 6 | 2 | 2 | 2 | 5:6 | 8 |
| მერანი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 6 |
| ივერია | 5 | 1 | 3 | 1 | 3:5 | 6 |
| ოლიმპი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:9 | 5 |
| ჩიხურა | 6 | 1 | 2 | 3 | 4:7 | 5 |
| ლოკომოტივი 2 | 6 | 1 | 2 | 3 | 3:15 | 5 |
| რუსთავი | 6 | 1 | 1 | 4 | 5:9 | 4 |
| საგარეჯო | 5 | 1 | 1 | 3 | 3:13 | 4 |
| მაღაროელი | 5 | 0 | 2 | 3 | 3:8 | 2 |



შვიდი ტურის მერე ქუთაისის „ტორპედო“ პირველ ადგილზეა და ძველი სახელის დაბრუნებას ლამობს. ქვეყნის სამგზის ჩემპიონების ორწლიანი ჩავარდნა თითქოს დასრულების პირასაა, თუმც სანამ ქუთაისურ კლუბში ფინანსური სიდუხჭირე იქნება, ეს წარმატება მყიფე იქნება.

„ტორპედოს“ ვიცე-პრეზიდენტი შედან ნანიკაშვილი კი გუნდის თამაშით ძალიან კმაყოფილია და მდგომარეობის გამოსწორებასაც გვპირდება. თუკი ნანიკაშვილის ნათქვამი ახდა, საქართველოს ჩემპიონატს ძველებურად ამბიციური „ტორპედო“ შეემატება...

# იმერეთის ნიავი თბილისურ ქარზე ეჭვიანობს

## შედან ნანიკაშვილს ასეთი ტორპედო არ ახსოვს

— „ტორპედო“ ლიდერია და, ბუნებრივია, კმაყოფილი იქნებით...

— ძალიან კმაყოფილი ვარ, მწვრთნელითაც, თამაშითაც, შედეგითაც და ფეხბურთელებითაც. ერთი სიტყვით, დღევანდელი „ტორპედო“ ძალიან მომწონს. რაც მე „ტორპედოში“ ვარ, ასეთი გუნდი ჯერ არ მყოლია.

— და რა შეიცვალა ასეთი?

— ბევრი იყო ხელისშემშლელი, ამრევი. ახლა ყველაფერი რიგზეა. გუნდში ისინი დავტოვეთ, რომელთაც თვალდახუჭულიც კი ვენდობი. ატმოსფეროც სამუშაო გახდა და ეს შედეგებზეც აისახა.

— ფინანსურად რომ გიჭირთ?

— არა უშავს, ეს პრობლემა მოგვარდება.

— „ტორპედოს“ პრეზიდენტ ზურაბ ხინიკაძეს გუნდიდან წასვლა სურდა და ახლა რას აპირებს?

— ასეთი შედეგების მერე ძნელი წარმოსადგენია, დაგვტოვოს. მგონი, ბატონ ზურაბსაც შემოუბრუნდა გული გუნდისკენ და მალე ყველაფერი გამოსწორდება.

— „ტორპედოს“ სეზონის წინ შეკრებაც არ გაუვლია და რისი იმედი გქონდათ ამ სეზონში?

— რა ვიცი, ძნელია, იმედი არ გქონდეს... უბრალოდ, მე ძალიან მჯეროდა ამ ბიჭების და ვთვლი, რომ ჯერჯერობით სრულად მიმართლებენ.

— ზამთარში რამდენიმე ფეხბურთელს გუნდთან კონტრაქტი უმთავრდება და გაუშვებთ?

— დამსახურების მიხედვით მოვექცევით ყველას. დაჩაგვრით არავინ დაიჩაგრება.

— ესე იგი, შესაძლოა, „ტორპედო“ დასუსტდეს?

— არა, რატომ?! ზამთარში აუცილებლად გავძლიერდებით, შეკრებაზეც გავუშვებ გუნდს და მაღალი ადგილებისთვის ვიბრძოლებთ.

— მაღალ ადგილში კონკრეტულად რას გულისხმობთ?

— გვინდა, ჩემპიონობისთვის ვიბრძოლოთ. თუ ყველასთვის ნაცნობმა თბილისურმა ქარმა არ დაუბერა და სხვადასხვა ხერხებით არ დაიწყეს ჩვენი ჩაძირვა, მჯერა, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლა შეგვიძლია.

— ჩანს, შედეგებმა გუნდს მადაც გაუზარდა...

— მარტო შედეგებში და პირველ ადგილში არ არის საქმე. მე ვხედავ, რომ ამ ბიჭებს ფეხბურთის თამაში უნდათ და ზედმეტი პრეტენზიები არ აქვთ. დაკარგვით კი ჩვენთან არავის არაფერი დაეკარგება.

**ქახა შალამბერიძე**

# ოთხი ზ-ს ამბავი

## ზესტაფონი, ზემლიანოი და ორი ზაზა

**ეროვნული ჩემპიონატის** ბოლო, მეშვიდე ტურში „ზესტაფონმა“ სტუმრად „ბათუმთან“ 0:5 წააგო და მწვრთნელიც შეიცვალა — მოლდოველი ვლადიმერ ზემლიანოის ნაცვლად „ზესტაფონს“ ახლა ზაზა გურიელიძე წვრთნის.

აჭარაში „ზესტაფონმა“ ფეხბურთელიც მოისაკლისა — გუნდში ახალმისული ფორვარდი ზაზა ზირაქიშვილი ისე დაშავდა, რომ 28-ე წუთზე შეცვალეს. ზირაქაშვილს დიაგნოზი ახლახან დაუსვეს — მარჯვენა ფეხის ზედა კუნთი აქვს ჩახეული.

ზესტაფონელთა თავდამსხმელი ახლა მკურნალობს და გუნდს დაახლოებით ოქტომბრის ბოლოსთვის დაუბრუნდება.

# ბოსფორის ბუღა თურქ ხბოებს აფრთხილებს: ნუ აცუნდრუკდებით!

## ჰაკან შუქური ქართველებს ჩაიზე და გერმანიაში ეპატიჟება

თურქეთის ნაკრები საქართველოსთან შესარჩევი მატჩის შემდეგ ტრაპიზონში დარჩა და საათენო 8 სექტემბრის შეხვედრისთვის მზადება იქვე განაგრძო.

თურქები ჩვენებთან საშინაო ფრეს ძალიან გაენაწყენებინა, პრესასა თუ ტელევიზიას ქართველებთან 1:1-მა, იცოცხლეთ, სალაპარკო მისცა და ისინიც დაწვრილებით არჩევდნენ ამ თამაშს. აკრიტიკებდნენ მთელ ნაკრებს, მწვრთნელ ერსუნ იანალით დაწყებული, მეკარე რუშთუთი დამთავრებული, რა ღმერთი გაგიწყრათ, მეზობლებს როგორ ვერ მოუგეთო.

ჩვენი კოლეგებისგან მწარე სიტყვა ყველაზე ნაკლებად თურქთა კაპიტანს, სრულიად თურქეთის კერპს ჰაკან შუქურს შეხვდა, თუმც რაც ითქვა, მის გასალიზიანებლად ისიც საკმარისი გამოდგა და ვიდრე შემხვდებოდა, თურქეთის ნაკრების რუსულის მცოდნე ადმინისტრატორს ჩემი ვინაობა დაწვრილებით გამოჰკითხა.

მოკლედ, თურქები ათენში ასაბარგებლად ემზადებოდნენ, როცა ჰაკან შუქურს სასტუმრო „ზორლუში" შევხვდი. გუნდი ვარჯიშიდან ახალდაბრუნებული გახლდათ, ორ საათში კი ათენის რეისი იყო...



ჰაკან შუქური სალამს და ყურადღებას ხეიბრებსაც არ აკლებს

— ჩაის მიირთმევთ? — თავაზიანად მკითხა თურქმა.

შემოთავაზება გასაკვირი არ იყო. თურქეთში სადმე თუ ჩაიმუხლე და გვერდზე მყოფს ერთი სიტყვა უთხარი, ფინჯან ჩაის და შაქრის ნატეხს, როგორც წესი, წუთშივე მოარბენინებენ ხოლმე.

— სიამოვნებით. რაკი ინტერვიუზე დამთანხმდით, 10-15 წუთი თავისუფალი დრო გქონიათ.

— დიახ. ვიდრე ბიჭები შეიკრიბებიან და აეროპორტისკენ წავალთ, ვისაუბროთ. რომელი გაზეთიდან ხართ?

— ისეთი ინტერესით იკითხა შუქურმა, თითქოს ქართული პრესის მუდმივი მკითხველი ყოფილიყოს.

— „სარბიელიდან", სპორტული გაზეთია.

— სასიამოვნოა. გისმენთ.

— გავიგე, თურქულ პრესაზე განაწყენებული ყოფილხართ.

— არა, განაწყენებული არ ვარ. უბრალოდ, თქვენს კოლეგებს ხანდახან ზედმეტი მოსდით ხოლმე. გუშინ, მაგალითად, ისეთი რამ წავიკითხე, გაკვირვებული დავრჩი. ისეთ სუსტ გუნდს, როგორიც საქართველოა, თურქებმა როგორ ვერ მოუგეს, ეტყობა, ჩვენებს ეს არ სურდათო. გვსურდა მოგება, ძალიანაც გვსურდა, მაგრამ ვერ შევძელით, ბურთი ყოველთვის შენს ნებაზე არ დაგორავს. თანაც, ჩემი აზრით, საქართველოს არცთუ ისე სუსტი ნაკრები ჰყავს.

— ისე, გუშინწინ არც თურქეთს უთამაშია მაინცდამაინც კარგად და არც საქართველოს...

— ეს უკვე სხვა საკითხია. ყოველ შემთხვევაში, მოგება ორივე გუნდს სურდა.

— 1:1 ლოგიკური შედეგი გგონიათ?

— მგონია, რომ მოგებას ჩვენ უფრო ვიმსახურებდით. თუმც საქართველომაც ისე ითამაშა, ერთ გოლს კი იმსახურებდა. საწყენია, რომ ჩვენ ვერ მოვახერხეთ ერთზე მეტის გატანა.

— მეორე ტაიმში ერთი ნაღდი მომენტი ვერც თქვენ გამოიყენეთ.

— თავურს გულისხმობთ?

— დიახ.

— გამაოცა ქართველმა მეკარემ, იშვიათი რეაქცია ჰქონია. ზუსტად ასეთი დარტყმით უამრავი გოლი მაქვს გატანილი, მაგრამ ამჯერად მეკარემ მაჯობა. არადა, ემრემ რომ ჩამოაწოდა, უკვე გოლი მეგონა, ბურთის ტრაექტორია ისეთი იყო, ვგრძნობდი, თავს დავარტყამდი. დავარტყი კიდეც, გოლის აღსანიშნადაც მოვემზადე, მაგრამ მეკარემ სასწაული ჩაიდინა.

— ტრაპიზონში სამი წლის წინ საქართველომ თურქეთთან 0:3 წააგო. მაშინ თქვენ არ გითამაშიათ, თუმც სტადიონზე იყავით. როგორ ფიქრობთ, მას შემდეგ საქართველო გაძლიერდა თუ თურქეთი დასუსტდა?

— ვფიქრობ, რომ ფეხბურთი გახდა უკვე ისეთი თამაში, რომელშიც ფავორიტი აღარ არის. იმ თამაშიდან სამი წლის შემდეგ ვერ ვიტყვი, თურქეთი დასუსტდაო და ვერც იმას, საქართველო გაძლიერდაო. თურქეთის ნაკრებში ახლა თაობათა ცვლის პროცესია, გუნდი ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არის. თანაც ახალი მწვრთნელი გვყავს, მას კი შედეგისთვის დრო სჭირდება.

— დრო რომ აღარ გაქვთ?

— რატომ?

— ზეგ უკვე საბერძნეთის ნაკრებთან უნდა ითამაშოთ. თუ ათენში წააგეთ, ჯგუფში თურქეთის გამარჯვება საეჭვო იქნება.

— მერე ვინ თქვა, რომ წავაგებთ. აგერ, ხომ ხედავთ, ბერძნებისთვის ალბანელებს მოუგიათ. ესე იგი, საბერძნეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ფორმაში არ არის და ჩვენც წარმატების შანსი გვეზრდება. ვნახოთ, სულაც არაა წარმოუდგენელი, ათენში რომ მოვიგოთ.

— სიტყვამ მოიტანა და, ამ შესარჩევ ჯგუფში ფავორიტებად რომელი გუნდები მიგაჩნიათ?

— რა თქმა უნდა, თურქეთი. დანიასაც კარგი გუნდი ჰყავს და საქართველოსაც. ვისურვებდი, რომ ჯგუფში თურქეთმა და საქართველომ გაიმარჯვონ და მსოფლიოს ჩემპიონატზეც ერთ ჯგუფში მოვხვდეთ.

— ეგ კარგი კი იქნებოდა, მაგრამ ევროპის ჩემპიონი საბერძნეთი ფავორიტებს შორის რატომ არ ახსენეთ?

— არ ვახსენე? ან რატომ უნდა მეხსენებინა?

— არ თვლით ფავორიტად?

— შანსები, მოკლედ გეტყვით, ბერძნებსაც აქვთ.

— თქვენი აზრით, საბერძნეთს იგივე ელის, რაც თურქეთს? თქვენი ნაკრები ხომ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ევროპის ჩემპიონატზე ველარ მოხვდა.

— რაც შეგვემთხვა, ჩვენივე ბრალი იყო. მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატების შემდეგ ჩვენები ცაში დაფრინავდნენ, ქვეყანა თავისი ეგონათ და დაისაჯნენ კიდეც. ზედმეტმა თავდაჯერებულობამ ასე იცის. თურქეთის ნაკრების ძალა ზოგიერთმა ფეხბურთელმა გადაჭარბებულად შეაფასა. არადა, მსოფლიოს ჩემპიონატამდე თურქეთი დიდი ფეხბურთით ვერ დაიკვეხნიდა. მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაომ კი საკუთარ თავზე გადამეტებული წარმოდგენა შეგვიქმნა. თანაც ახლა ფსიქოლოგიურადაც გვიჭირს, მეტოქის განურჩევლად ყველა თამაშის მოგებას გვთხოვენ.

— და მაინც, რატომ ვერ მოხვდით ევროპის ჩემპიონატზე?

— საკადრისად ვერ ვითამაშეთ და იმიტომ.

— „გალათასარაის" რაღა დაემართა უეფას თასის მოგების შემდეგ?

— „გალათასარაი" და თურქული ფეხბურთი ხომ ერთია. კლუბშიც იგივე მოხდა, რაც ნაკრებში, ზედმეტმა თვითრწმენამ დაგვალალატა. მაგრამ არა უშავს. თურქეთში ახლაც საკმაოდ კარგი თაობა იზრდება და წარმატებები კიდევ იქნება.

— თქვენ უკვე კარიერის დამთავრებას ეშურებით?

— არა, ჯერ ადრეა, თუ ჯანმრთელობამ არ მიღალატა, სამ-ოთხ წელიწადს კიდევ ვითამაშებ. კიდევ მსურს ევროპის რომელიმე ცნობილ კლუბში თამაში.

— იტალიურ „ინტერში" რატომ ვერ აეწყო თქვენი კარიერა?

— ეგ მწვრთნელებს ჰკითხეთ. მე ყველაფერი გავაკეთე „ინტერის" ძირითადში მოსახვედრად, მაგრამ მწვრთნელებს, კუპერს, ძაკერონის, ტარდელის ფეხბურთზე თავისებური შეხედულება ჰქონდათ. ისინი კი ისე ხშირად ინიშნებოდნენ და იხსნებოდნენ, ახალი მწვრთნელის მოთხოვნათა შესრულებას ისევე სწრაფად ვერ ვახერხებდი. სიტყვაზე, კუპერი ფლანგიდან შეტევას მთხოვდა ხოლმე, ტარდელი ცენტრში მათამაშებდა, გაწყობა კი მიჭირდა. როცა ფლანგზე თამაშს ალღო ავუღე, მაშინ ტარდელი მოვიდა და ცენტრში თამაში — გამიხდა გასახსენებელი. მოკლედ, მწვრთნელთა ხშირმა ცვლამ ჩემზეც იმოქმედა და იტალიაში ბოლომდე ველარ გავიხსენი.

**— ფიქრობთ, რომ იტალიური ლიგა მსოფლიოში საუკეთესოა?**

— იტალიაში თავდამსხმელისთვის თამაში ძალიან რთულია. არის მატჩები, როცა ერთბაშად სამ, ოთხ მცველთანაც კი მარტოს გიწევს ბრძოლა. როგორ უნდა აჯობო? ამიტომაც, ჩემთვის პირადად ინგლისში უკეთესი იქნება. თანაც ჩემი კოზირი ხომ თავით თამაშია.

**— რომელიმე ქართველ ფეხბურთელს ახლოს თუ იცნობთ?**

— ახლოს არც ერთს. ისე კი, ალბათ თქვენც ნახეთ, ტრაპიზონში როგორ უყვართ შოთა. კალაძის წინააღმდეგ რამდენჯერმე მიჭთამაშია იტალიაში და გეტყვით, რომ ძალიან ძლიერი მცველია, სერია A-ში ერთ-ერთი საუკეთესო. კიდევ ქეცბაიას ვიცნობ, ოღონდ ჩვენს ურთიერთობას მეგობრული არ ეთქმის, ვესალმებით ხოლმე ერთმანეთს.

**— სამშობლოში, თუნდაც აქ, ტრაპიზონში, ძალიან პოპულარული ხართ. თავს, ცოტა არ იყოს, შებოჭილად ხომ არ გრძნობთ?**

— ეგ მართალია. ახლა, მაგალითად, თქვენთან ერთად სუფთა ჰაერზეც სიამოვნებით გავიდოდი და იქ დაველაპარაკებოდით, მაგრამ ეს შეუძლებელია, ხალხი ამის საშუალებას არ მომცემს. თუმც პოპულარობა, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა.

**— თქვენ ხშირად ტანჯუ ჩოლაქსაც გადარებენ, მას კი თურქეთში გამორჩეულად აფასებენ.**

— ტანჯუ ჩემი კერპია და ვამაყობ, რომ მისი მეგობარი ვარ. ის ყველა დროის საუკეთესო თურქი ფეხბურთელია... ბოდიში, აგერ ბიჭებიც, ათენში მივემგზავრებით, თორემ პრობლემა არ იქნებოდა. საუბარი სხვა დროს გავაგრძელოთ.

**— რაც ვისაუბრეთ, ესეც საკმარისია. გმადლობთ, ბედნიერი მგზავრობა...**

— საქართველოს ჩემგან დიდი სალამი გადაეცით... საბერძნეთში კი არ წავაგებთ!

ასე დამემშვიდობა ჰაკან შუქური, დღევანდელი თურქული ფეხბურთის ერთგვარი სიმბოლო, ყველაზე პოპულარული თურქი ფეხბურთელი.

თურქეთს კი ათენში მართლაც არ წაუგია.

**კობა ინასარიძე**



2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი

ჩვენი მეტოქე

# ყაზახეთის ბუას კიეველებმა მიარტყეს

უკრაინა

**13 ოქტომბერს** უკრაინასთან მატჩი რომ გველის, ალბათ შეხსენება არ გჭირდებათ. ჰოდა, ჩვენც მეტოქის ბანაკში მომხდარ ამბებზე გეტყვით — თითქმის გადაწყვეტილია, რომ ქართველებთან ჯახში ოლეგ ბლოხინი ნახევარმცველ რუსლან როტანს მოისაკლისებს.

როტანი უკრაინელებისთვის საკმაო ძალაა — აქამდე ორივე ოფიციალურ მატჩში ითამაშა დანია-ყაზახეთთან და მნიშვნელოვანი წილიც დაიდო თავისიანების წარმატებაში. სწორედ მან გაუტანა მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე ყაზახეთს და უკრაინელებმაც 2:1 მოიგეს.

მოკლედ, ნაკრებისა და დნეპროპეტროვსკის „დნიპროს" ნახევარმცველი სამიოდ დღის წინ კიევის „დინამოსთან" მატჩში დაშავდა და, როგორც ექიმები ამბობენ, სულ მცირე, ორი კვირით მოუწევს მკურნალობა. ასე რომ, დიდი შანსია, როტანმა ქართველების წინააღმდეგ ვერ ითამაშოს.

**ბაჩა შალამბერიძე**

# კო-თა გადანაცვლებით ჯამი თუ შეიცვლება?



**ალექსეი მიხაილიჩენკო** გუშინ უკრაინის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა. კიევის „დინამოს" ყოფილმა თავკაცმა რუსულ „ხიმკიში" გადაბარგებული პაველ იაკოვენკო შეცვალა.

ეს ამბავი უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის გუშინდელ სხდომაზე გადაწყდა. იაკოვენკოს რომ „ხიმკი" ეპატიჟებოდა, ადრეც გაუწყეთ. მწვრთნელმა გიორგი ლომაიასა და ვალერი აბრამიძის გუნდთან კონტრაქტი რამდენიმე დღის წინ გააფორმა, თუმც ამ საქმეს ბეჭედი ჯერაც არ ჰქონდა დასმული — აღმასკომმა გუშინღა დააკმაყოფილა მისი ახალგაზრდული ნაკრებიდან წასვლა.

შეგახსენებთ, რომ იაკოვენკოს ხელში უკრაინელმა 21-წლამდელებმა შესარჩევი ჯგუფის ორი მატჩი ჩაატარეს — დანიასთან (2:3) და ყაზახეთთან (1:0).

ასე რომ, ჩვენებს 12 ოქტომბერს ჩერვონოგრადში ალექსეი მიხაილიჩენკოს გუნდთან მოუწევთ ბრძოლა.

**ბაჩა შალამბერიძე**

# ალანიას ფულის წყარო სპირტივით აუორთქლდა

**ჰამლეტის** სულს ნუ შევაწუხებთ და, წრუწუნასი არ იყოს, ყოფნა-არყოფნის თემამ ვლადიკავკაზის „ალანიაც" შეაწუხა. რამდენიმე დღის წინ უსპონსოროდ დარჩენილი ოსები ჰაერში გამოეკიდნენ და შესაძლოა, პრემიერლიგის ბოლოს ვეღარც მიატანონ.

რუსეთში საკმაოდ ცნობილი, უმდიდრესი კომპანია „ისტოკი" ვლადიკავკაზურ კლუბს უკვე ოფიციალურად გაეყარა, რამაც მწვრთნელ-ფეხბურთელები გვარიანად შეაშფოთა. მათ აღარ იციან, ვის მოსთხოვონ კუთვნილი ხელფასი და... პრემიებზე არაფერს ვამბობთ, მით უმეტეს, „ალანიას" ისედაც არ ახსოვს, როდის მოიგო ბოლოს.

ასეთ დროს ჩვენთვის საინტერესო ისაა, რას აპირებენ ქართველი ფეხბურთელები. ლევან გვაზავა „ალანიას" ძირითად შემადგენლობაში სტაბილურად ხვდება და ალბათ სეზონის დასრულებასაც დაელოდება. სხვაგვარადაა მიხეილ ყაველაშვილის საქმე — მას ტრავმა აწუხებს და როდის განაახლებს ვარჯიშს, ჯერაც საკითხავია. აი, ვიტალი დარასელია კი რა ხანია, „ალანიას" სამატჩო განაცხადში არ გამოჩენილა. ვრცელდება ინფორმაცია, რომ დარასელია მალე დაშორდება ოსებს და თამაშს სხვა რუსულ გუნდში გააგრძელებს.

და ერთიც, „ალანიას" ფრანგ თავკაც როლან კურბისს „აიაჩო" ეპატიჟება...

ამასობაში „ალანიას" გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა იური კესლერმა მოჭარბებული პრობლემების გარდა ერთ, ჩვენთვის საინტერესო თემაზეც გააკეთა კომენტარი. გეხსომებათ, სეზონის დაწყებამდე ვლადიკავკაზელები დონეცკის „მეტალურგიდან" გიორგი დემეტრაძის გამოსყიდვას ლამობდნენ, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. მიზეზებზე კესლერს ასეთი პასუხი აქვს:

— ჩვენ ძალიან გვინდოდა დემეტრაძის შეძენა და მოლაპარაკებებიც დავიწყეთ, მაგრამ ინფორმაციამ პრესაში გაჟონა და ფეხბურთელის აგენტებმაც პიარ-კამპანია გააჩაღეს. საბოლოო ჯამში დემეტრაძის სანაცვლოდ წარმოუდგენელი თანხა მოგვთხოვეს — 1,2 მილიონი დოლარი და პლუს 600 დოლარი ყოველწლიური გადასახადი. ამის შემდეგ ტრანსფერზე საუბარი, ცხადია, ჩაიშალა.

**ბაჩა შალამბერიძე**

# გავიტან, აბა, სად წავალ?!

## საქართველო [illegible] დალაგებულია, ვიდრე წინ



13 ოქტომბრის უკრაინასთან მატჩამდე ბევრიც არაფერი დარჩა და ნაკრებში მოთამაშე ლეგიონერთა ამბებიც უინტერესო ნაღდად არ უნდა იყოს. გუშინ რეინჯერსელ შოთა არველაძეს ვესაუბრეთ, ნაკრების ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილ ფეხბურთელს, თუმც შოთას ჯერ „რეინჯერსზე" ჩამოვუგდეთ სიტყვა...

— შოტლანდიის მიმდინარე ჩემპიონატში ექვსი მატჩი ითამაშე და ორი გოლი გაიტანე — ეს ალბათ არცთუ მაღალი მაჩვენებელია წინა სეზონში „რეინჯერსის" მთავარმეგოლისთვის...

— თავდასხმაში ნაკლებად მიწევს თამაში და ასე ამიტომაა. ეს ორი გოლიც მაშინ გავიტანე, როცა ფორვარდად ვიყავი გამწესებული. მაგრამ გოლებს მაინც შევაგდებ, აბა, სად წავალ?!

— უეფას თასზე პორტუგალიურ „მარიტიმუსთან" სტუმრად 0:1 დამარცხდით და 30 სექტემბერს საპასუხო შეხვედრაში შანსებს როგორ შეაფასებდი?

— „მარიტიმუ" კარგი გუნდია, ახლახან სტუმრად „სპორტინგსაც" მოუგო. ისე, პორტუგალიაშიც ნახევარმცველად ვითამაშე.

— ამ სეზონში „რეინჯერსი" რიგიანად ვერ თამაშობს...

— ჩვენ უბურთოდ უფრო მეტს დავრბივართ, ვიდრე ბურთით. ეს იმიტომ მოხდა, რომ გევინ რაე და ალექს რაე ტრავმირებულნი არიან, არც მლადენოვიჩია მთლად ჯანზე — როცა სამი ნახევარმცველი მოგაკლდება, ბურთზე კონტროლი ჭირს. ჩვენც ახლა უფრო ბრძოლის ხარჯზე გვიწევს თამაში.

— ნაკრებზე გადავერთოთ. შესარჩევი ციკლის პირველ ორ თამაშში ოთხი ქულა რომ ავიღეთ, მთავარი ფაქტორი რა იყო?

— საქართველოს ნაკრებს ადრეც ჰქონდა იმის პოტენცია, რომ პირველ ორ თამაშში ოთხი ქულა აეღო. ახლა კი ჩვენ იღბალიც დაგვეხმარა. თუმც გუნდის თამაშში უფრო მეტი ორგანიზებულობა იგრძნობოდა. ისიცაა, რომ უკან უფრო დალაგებულად ვმოქმედებდით, ვიდრე შეტევაში.

— ნაკრების თამაშის ხარისხი კი ალბათ არავის მოეწონა...

— აქ რამდენიმე ფაქტორია გასათვალისწინებელი, მაგრამ კარგი ის არის, რომ უხარისხო თამაშით მაინც მივაღწიეთ კარგ შედეგს.

— თურქეთთან და ალბანეთთან შოთა არველაძის თამაშზე განსხვავებული აზრია გულშემატკივრებში — თვითონ რას იტყოდი საკუთარ თამაშზე ამ ორ მატჩში?

— ჯობია, ეგ სხვამ თქვას, ვიდრე მე.

— ამ ორ მატჩში უკან ხშირად იყავი, ტევად სამუშაოს ასრულებდი და ეს ხომ არ გაკლებდა ეფექტს შეტევაში?

— კარგი პასი წამოვიდა და იქ არ აღმოვჩნდი, სადაც უნდა ვყოფილიყავი? ასეთი რამ არ მომხდარა. ამ მატჩებში სათამაშო სიტუაცია ითხოვდა ჩემ უკან ხშირად ჩასვლას. თანაც გაზაფხულზე გაკეთებული მუხლის ოპერაციის შემდეგ თითქმის ხუთი თვე გამიცდა და ნაკრებში გამოძახებამდე 4-5 თამაშის ჩატარება თუ მოვასწარი.

**დავით თავართქილაძე**


ქართული სპორტის ფოტო ისტორია

ასე ჰქვია საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ახალ პროექტს, რომელიც ხორციელდება თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახურის მხარდაჭერით.

შეირჩევა, დამუშავდება, აღიწერება და ვებსაიტზე განთავსდება 5 ათასზე მეტი ისტორიული და მხატვრული ღირებულების ფოტო.

სათანამშრომლოდ ვიწვევთ ფოტორეპორტიორებს, კერძო კოლექციის მფლობელებს, ძველი და ახალი თაობის სპორტსმენებს, მწვრთნელებს, სპორტის გულშემატკივრებს.

გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენს ხელთ არსებული ფოტომასალა და მონაწილეობა მიიღოთ ქართული სპორტის ასწლოვანი ისტორიის ფოტოარქივის შექმნაში.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია.
თბილისი, რუსთაველის 42, ტელეფონები: 99 08 22, 99 94 09, 899 90 26 32.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სერ ბობი? ბერნაბეუზე?

*აი, სენსაციური ცნობა: ტანჯული სიდიადის, მადრიდის „რეალის“ მწვრთნელის სავარძლის დამჭერთა სიაში ლიდერი 71 წლის სერ ბობი რობსონია*



**რობსონს** მადრიდიდან შეეხმიანენ და სთხოვეს, რომ საქმისთვის მზად იყოს. „ნიუკასლიდან“ ორიოდ კვირის წინ დათხოვნილ სერ ბობის უარით არ უპასუხია.

პრეზიდენტ ფლორენტინო პერესს პატივცემული და სახელოვანი მწვრთნელი სჭირდება მას შემდეგ, რაც ზედიზედ მარცხისა და ფეხბურთელთა ჯანყის შემდეგ გუნდი ხოსე ანტონიო კამაჩომ მიატოვა.

მწვრთნელის პოსტი ახლა მეკარეთა მოძღვარ გარსია რემონს უჭირავს, თუმცა, კლუბი შიშობს, რომ რემონი ჩემპიონთა ლიგის თამაშებს ვერ გასწვდება გამოუცდელობის გამო.

„რეალს“ თავისი სამსახური უკვე შესთავაზა ოცმა განთქმულმა ევროპელმა მწვრთნელმა, თუმცა, პერესს თავისი სია აქვს, რომელშიც სვენ გორან ერიკსონი, ოტმარ ჰიცფელდი, მარსელო ბიელსა და ვისენტე დელ ბოსკე ჩაუწერია.

მაგრამ ამათ ზემოთ პერესს სერ ბობი ჰყავს, რომელსაც ალბათ ერთწლიან მესაჭედ მოიაზრებენ მანამდე, სანამ ხანგრძლივი დროის მწვრთნელს შეარჩევენ.

რობსონი უყვართ „რეალის“ ინგლისელებს, ბექემსა და ოუენს, ის უყვართ ფიგუსა და რონალდოს, როგორც თავიანთი ძველი მოძღვარი. სერ ბობი ერთადერთი ინგლისელია, რომელმაც ხუთი თითივით იცის კონტინენტური ფეხბურთი, რადგან უმუშავია „პსვ ეინდჰოვენში“, „სპორტინგში“, „პორტუსა“ და „ბარსელონაში“. ყველაფერი კი მაინც გარსია რემონზე ჰკიდია: თუ „რეალი“ შაბათს ბილბაოში წააგებს და მერე აუცილებლად ვერ მოუგებს „რომას“ ჩემპიონთა ლიგაში, რობსონს მადრიდის ბილეთს გამოუგზავნიან.

**ირაკლი გამყრელიძე**




კარლო კუდიჩინი

# კარლო ახალ კარში

**„მანჩესტერ იუნაიტედს“** კარლო კუდიჩინი უნდა, რათა თავისი სამეკარეო პრობლემები მოაგვაროს.

სერ ალექს ფერგიუსონმა სეზონის ცუდად დამწყებ ამერიკელ ტიმ ჰოვარდზე გული აიყარა და სურს 2,5 მილიონ გირვანქად იანვრის ფანჯრის დროს „ჩელსის“ მეკარე შეიძინოს.

31 წლის კუდიჩინი ახლაღა შეუდგა ვარჯიშს „ჩელსიში“, თუმცა მას ზაფხულამდე უთხრეს, რომ კლუბის ძირითადი მეკარე ველარ იქნება, არამედ მხოლოდ ჩეხი პეტრ ჩეხის შემცვლელი.

კუდიჩინი ხუთი წელიწადია პრემიერლიგაშია, ის ჯანლუკა ვიალიმ იპოვნა პატარა იტალიურ კლუბ „კასტელ დი სანგროში“ და იმის შემდეგ უნიჭიერესმა კიპერმა 150-ჯერ ითამაშა „ჩელსის“ რიგებში. მას 24 თამაშში არ გაუშვია გოლი და ახლა უკვე ბრიტანეთის მოქალაქეობის მოთხოვნაც შეუძლია, რათა იქაურ ნაკრებში ითამაშოს. ამას შარშან სვენ გორან ერიკსონი მიანიშნებდა, თუმცა, კარლო აცხადებდა, რომ იტალიის ნაკრებში ითამაშებს, სადაც შარშან გამოიძახეს კიდეც.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ჯორკაეფი ფულემს შეერთდება

**36 წლის** ფრანგი თავდამსხმელი, იური ჯორკაეფი კვლავ ინგლისშია და კვლავ თამაშს აპირებს. „ბოლტონიდან“ თავისუფალი აგენტის სტატუსით წამოსული ის ახლა უგუნდოდაა და „ფულემთან“ ერთად ვარჯიშობს, რაც იმას გულისხმობს, რომ მალე ამ გუნდს შეუერთდება. „ფულემის“ მეორე მწვრთნელმა დეივ ბიზანტმა თქვა: „იური იდეალური ვარიანტია. უკონტრაქტოდაა და საიანვრო ფანჯრის ცდა არ გვიწევს. მალე ალბათ, ყველაფერი გაირკვევა. ის საოცრად ტექნიკურია და ვარჯიშებზე დიდ გამოცდილებას უზიარებს ჩვენს ბიჭებს“.

ჯორკაეფს 82-ჯერ უთამაშია საფრანგეთის ნაკრებში და 28 გოლი გაუტანია

**ირაკლი გამყრელიძე**



# როი კინმა ყველაფერი უარყო




**ტრეფორდის** სასამართლოში გამოცხადებულმა როი კინმა უარყო ყველა ის ბრალდება, რაც მას წაუყენეს 16 წლის ბიჭთან კონფლიქტის შესახებ.

კინი სასამართლოში დაიბარეს იმ საჩივრის გამო, რომლის მიხედვითაც, მას ჩხუბი მოუხდა მავან ყმაწვილთან, როცა თავისი სახლის შორიახლოს ძაღლს ასეირნებდა მანჩესტერის გარეუბან ჰეილში. ბიჭი ამბობს, რომ მას „მანჩესტერის“ კაპიტნის ძაღლი ეტაკა და კონფლიქტიც ამის ნიადაგზე წარმოიშვა. რისი შედეგიც ის იყო, რომ კინმა მას ძეწკვი ჩამოგლიჯა ყელიდან. სასამართლომ კინის უარყოფა მოისმინა და შემდეგი სხდომა 21 ოქტომბრისთვის დანიშნა.

**ირაკლი გამყრელიძე**

## პორტუგალია

**სუპერლიგა. გადადებული მატჩი**

**პორტუ 1:1 ლეირია**

1:0 კვარესმა (8), 1:1 კრპანი (74)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | 3 | 3 | 0 | 0 | 6:2 | 9 |
| სეტუბალი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| ბელენენსეში | 3 | 2 | 1 | 0 | 8:4 | 7 |
| ბოავიშტა | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| მარიტიმუ | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ბრაგა | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| ლეირია | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 4 |
| გიმარაეში | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| მორეირენსე | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| პორტუ | 3 | 0 | 3 | 0 | 4:4 | 3 |
| რიუ ავე | 3 | 0 | 3 | 0 | 4:4 | 3 |
| ნასიონალი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| ბეირა მარი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| სპორტინგი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| ეშტორილი | 3 | 0 | 2 | 1 | 4:6 | 2 |
| აკადემიკა | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |
| პენაფიელი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:8 | 1 |
| ჟილ ვისენტე | 3 | 0 | 0 | 3 | 2:5 | 0 |

## იაპონია

**ჯეი ლიგა. VI ტური**

იოკოჰამა — კობე 2:2; ნიიგატა — ჰიროშიმა 3:2; ნაგოია — სერეზო 5:2; იჩიჰარა — ოიტა 2:0; გამბა — ვერდი 1:3; კაშიმა — შიმიცუ 0:0; ივატა — კაშივა 1:1; ტოკიო — ურავა 1:0

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

## ინგლისი

**ჩემპიონატი. გადადებული მატჩი**

**მილუოლი 3:1 დერბი ქაუნთი**

1:0 უაიზი (2), 2:0 სიმფსონი (48), 2:1 რაიხი (49), 3:1 აიფილი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უიგანი | 9 | 5 | 4 | 0 | 19:7 | 19 |
| რედინგი | 9 | 6 | 0 | 3 | 13:8 | 18 |
| სტოკი | 9 | 5 | 3 | 1 | 10:7 | 18 |
| იფსვიჩი | 9 | 5 | 2 | 2 | 17:11 | 17 |
| ვესტ ჰემი | 9 | 5 | 2 | 2 | 11:9 | 17 |
| უოტფორდი | 8 | 5 | 1 | 2 | 14:5 | 16 |
| სანდერლენდი | 9 | 4 | 2 | 3 | 16:10 | 14 |
| ქუინზ პარკი | 9 | 4 | 2 | 3 | 12:13 | 14 |
| პლიმუთი | 9 | 4 | 1 | 4 | 12:12 | 13 |
| მილუოლი | 8 | 4 | 1 | 3 | 7:7 | 13 |
| ლიდსი | 8 | 3 | 3 | 2 | 9:7 | 12 |
| ქოვენთრი | 9 | 3 | 3 | 3 | 12:11 | 12 |
| ლესტერი | 9 | 3 | 3 | 3 | 8:8 | 12 |
| დერბი ქაუნთი | 9 | 4 | 0 | 5 | 13:14 | 12 |
| ბარნლი | 9 | 2 | 5 | 2 | 7:5 | 11 |
| ვულვზი | 9 | 2 | 5 | 2 | 12:12 | 11 |
| შეფილდი | 9 | 3 | 2 | 4 | 8:11 | 11 |
| პრესტონი | 9 | 3 | 1 | 5 | 12:13 | 10 |
| ჯილინგემი | 9 | 3 | 1 | 5 | 10:17 | 10 |
| ბრაიტონი | 9 | 2 | 2 | 5 | 8:14 | 8 |
| ქრიუ | 8 | 1 | 3 | 4 | 13:19 | 6 |
| ნოტინგემი | 9 | 0 | 6 | 3 | 8:14 | 6 |
| კარდიფი | 9 | 1 | 2 | 6 | 6:15 | 5 |
| როტერჰემი | 9 | 0 | 4 | 5 | 2:10 | 4 |

**ლიგის თასი**

**1/16 ფინალის წილისყრა**

პორტსმუთი — ლიდსი; ჩელსი — ვესტ ჰემი; მიდლსბრო — ქოვენთრი; დონკასტერი — ნოტინგემი; ნიუკასლი — ნორვიჩი; მილუოლი — ლივერპული; ბარნლი — ასტონ ვილა; საუთჰემპტონი — კოლჩესტერი; შეფილდ იუნაიტედი — უოტფორდი; ევერტონი — ლესტერი ან პრესტონი; ჩარლტონი — კრისტალ პალასი; ბოლტონი — ტოტენჰემი; ბორნმუთი — კარდიფი; მანჩესტერ სიტი — არსენალი; ბირმინგემი — ფულემი; ქრიუ — მანჩესტერ იუნაიტედი

*მატჩები გაიმართება 26-27 ოქტომბერს*

## შვედეთი

**ალსვენსკა. XXI ტური**

**ტრელებორგი 0:4 ჰალმსტადი**

**ჰამარბი 0:1 იორგრიტე**

**ლანდსკრონა 3:2 სუნდსვალი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალმიო | 20 | 11 | 7 | 2 | 35:14 | 40 |
| გიოტებორგი | 20 | 12 | 4 | 4 | 27:14 | 40 |
| ჰალმსტადი | 21 | 11 | 6 | 4 | 43:24 | 39 |
| კალმარი | 20 | 8 | 9 | 3 | 23:15 | 33 |
| ჰამარბი | 21 | 9 | 5 | 7 | 23:20 | 32 |
| იურგორდენი | 20 | 7 | 7 | 6 | 26:26 | 28 |
| ჰელსინგბორგი | 20 | 6 | 7 | 7 | 37:27 | 25 |
| სუნდსვალი | 21 | 6 | 7 | 8 | 22:25 | 25 |
| ელფსბორგი | 20 | 6 | 7 | 7 | 19:26 | 25 |
| იორგრიტე | 21 | 5 | 8 | 8 | 19:26 | 23 |
| იორებრო | 20 | 5 | 6 | 9 | 23:37 | 21 |
| ლანდსკრონა | 21 | 4 | 8 | 9 | 21:31 | 20 |
| აიკ | 20 | 4 | 7 | 9 | 16:26 | 19 |
| ტრელებორგი | 21 | 2 | 6 | 13 | 16:39 | 12 |

## დანია

**სუპერლიგა. IX ტური**

**ოლბორგი 3:0 რანდერსი**

**ბრონდბიუ 0:0 ნორდსიელანდი**

**ესბიერგი 2:4 ოდენსე**

**კოპენჰაგენი 2:1 ორჰუსი**

**მიდტიულანდი 1:1 ვიბორგი**

**სილკებორგი 2:4 ჰერფიოლგე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოდენსე | 8 | 5 | 1 | 2 | 19:10 | 16 |
| მიდტიულანდი | 8 | 5 | 1 | 2 | 12:10 | 16 |
| ბრონდბიუ | 8 | 4 | 3 | 1 | 10:5 | 15 |
| ორჰუსი | 8 | 3 | 2 | 3 | 12:9 | 11 |
| ვიბორგი | 8 | 3 | 2 | 3 | 8:9 | 11 |
| ნორდსიელანდი | 8 | 3 | 2 | 3 | 9:12 | 11 |
| ესბიერგი | 7 | 3 | 1 | 3 | 17:12 | 10 |
| სილკებორგი | 8 | 3 | 1 | 4 | 14:15 | 10 |
| კოპენჰაგენი | 8 | 2 | 4 | 2 | 13:14 | 10 |
| ჰერფიოლგე | 8 | 3 | 1 | 4 | 9:15 | 10 |
| ოლბორგი | 8 | 2 | 1 | 5 | 11:11 | 7 |
| რანდერსი | 7 | 1 | 1 | 5 | 3:15 | 4 |

## იტალია

### სერია A. III ტური

**მილანი 1:2 მესინა**

1:0 პანკარო (54), 1:1 ჯამპა (55), 1:2 ძამპანა (59)
მილანი: დიდა, კაფუ, ნესტა, მალდინი, პანკარო, გატუზო (სერჟინიო 61), პირლო (რუი კოშტა 65), ზეედორფი, კაკა, შევჩენკო, ფ. ინძაგი (ტომასონი 69)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
მესინა: სტორარი, ზორო კპოლო, მ. კონტე, რეზაეი, პარიზი, ძანკი, პ. რაფაელი (დონატი 61), კოპოლა (კუჩარი 83), სულო, ჯამპა, ძამპანა (ნ. ამორუზო 76)
მწვრთნელი: ბორტოლო მუტი
გაფრთხილება: გატუზო, ჯამპა, პანკარო, ზორო კპოლო, სტორარი
მსაჯი: როზეტი
55 000 მაყურებელი

**სამპდორია 0:3 იუვენტუსი**

0:1 დელ პიერო (19პ), 0:2 იბრაჰიმოვიჩი (69), 0:3 ტრეზეგე (87)
სამპდორია: ანტონიოლი, საკეტი, პაჟანი, ფალკონე, მ. კასტელინი (პაგანო 81), კ. ძენონი, ედუსეი, პალომბო, კუტუზოვი (როსინი 63), ბაცანი, ფლაკი
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
იუვენტუსი: ბუფონი, ძებინა, ტურამი, ფ. კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი, ემერსონი, ბლაზი, ნედვედი (ოლივერა 84), დელ პიერო (იბრაჰიმოვიჩი 63), ტრეზეგე
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ფალკონე, ნედვედი, პალომბო, კამორანეზი, ტურამი
მსაჯი: დონდარინი
40 000 მაყურებელი

**ატალანტა 2:3 ინტერი**

1:0 ბუდანი (25), 1:1 სტანკოვიჩი (54), 1:2 რეკობა (79), 2:2 პაცინი (85), 2:3 ადრიანო (87)
ატალანტა: ტაიბი, გონელა, ნატალი, ბელინი, მინგაცინი (ლაცარი 81), რივალტა, მ. მარკოლინი, მონტოლივო, ალბერტინი, ინაჩიო პია (გაუტიერი 67), ბუდანი (პაცინი 67)
მწვრთნელი: ანდრეა მანდორლინი
ინტერი: ტოლდო, კორდობა, ბურდისო, მატერაცი, ფაველი, ვან დერ მეიდე (დავიდსი 83), კამბიასო (რეკობა 75), ემრე, დ. სტანკოვიჩი, ადრიანო, ვიერი (ო. მარტინსი 60)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: რივალტა, ვან დერ მეიდე
მსაჯი: პაპარესტა
20 000 მაყურებელი

**ბრეშა 0:2 ლაციო**

0:1 როკი (29), 0:2 კოუტუ (45)
ბრეშა: კასტელაცი, ადანი (სტანკევიჩიუსი 43; მანინი 46), დი ბიაჯო, მარეკო (დელ ნერო 65), ჟ. მარტინესი, მილანეტო, გუანა, დომიცი, ბაკინი, კარაჩოლო, სკული
მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი
ლაციო: სერენი, ოდო, ნეგრო, ფ. კოუტუ, ძაური, დაბო (ჯანიკედა 81), ე. ფილიპინი, ა. ფილიპინი, პანდევი (ო. ლოპესი 46), როკი, მუცი (ს. ინძაგი 62)
მწვრთნელი: დომენიკო კაზო
გაფრთხილება: დომიცი, ბაკინი
გაძევება: როკი (45)
მსაჯი: რაკალბუტო
8 000 მაყურებელი

**რომა 2:2 ლეჩე**

0:1 კასეტი (41), 1:1 კასანო (54), 1:2 ბოჟინოვი (59), 2:2 მანსინი (72)
*ტოტიმ ვერ გაიტანა პენალტი (45, მეკარე)*
რომა: პელიცოლი, პანუჩი (კანდელა 82), მექსეში, მ. ფერარი, კუფრე, აკილანი (მანსინი 63), პეროტა, დე როსი, ტოტი, ა. კასანო, მონტელა (მიდო 58)
მწვრთნელი: რუდი ფიოლერი

# არ გინდოდათ კახა? აჰა!



REUTERS მილანიდან

მილანი — მესინა. ანდრეი შევჩენკოს და „შავ-წითლებს“ სტუმრებმა „სან სიროზე“ შავი დღე აყარეს

ლეჩე: სიჩინიანო, კასეტი (კ. სილვესტრი 88), დიამუტენე, სტოვინი, რულო, ჯაკომაცი, ლედესმა, დალა ბონა, ბოჟინოვი (კონანი 71), ბიელანოვიჩი (ერიომენკო 80), პინარდი
მწვრთნელი: ზდენეკ ზემანი
გაფრთხილება: რულო, ჯაკომაცი, პინარდი
მსაჯი: ბერტინი
45 000 მაყურებელი

**პარმა 1:2 ბოლონია**

0:1 ლოკატელი (13), 0:2 პეტრუცი (20), 1:2 კანავარო (58)
პარმა: ს. ფრეი, ფერონეტი, ბოვო, პ. კანავარო, ი. კამარა, ბოლანო (სიმპლისიო 76), გრელა, მარკიონი, ბრეშიანო, ზიკუ (მორფეო 39), მაკარონე (ჟილარდინო 39)
მწვრთნელი: დანიელე ბალდინი
ბოლონია: პალიუკა, ჟუარესი, პეტრუცი, ტორიზი, სუსი, ზაგორაკისი, ლოვიზო (გამბერინი 76), ნერვო, ბელუჩი (მეგნი 64), ლოკატელი (კ. ამორუზო 64), ჩიპრიანი
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: ფერონეტი, ლოვიზო, კამარა, სუსი
მსაჯი: როდომონტი
12 880 მაყურებელი

**პალერმო 0:0 ფიორენტინა**

*კორინიმ ვერ გაიტანა პენალტი (ნ, მეკარე)*
პალერმო: გუარდალბენი, ძაკარდო, ბარძალი, გროსო, ტერლიცი, სანტანა (რაიმონდი 71), ბარონე, კორინი, ძაული (ფარიასი 82), ტონი, ბრიენცა (გასბარონი 53)
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
ფიორენტინა: ლუპატელი, არიატი, ვიალი, დელი კარი, იორგენსენი (სავინი 46), კიელინი, უიფალუში, ობოდო, პიანჯერელი, ფანტინი (პორტილიო 82), მიკოლი (დი ლივიო 90)
მწვრთნელი: ემილიანო მონდონიკო
გაფრთხილება: ძაული, სავინი, რაიმონდი, დელი კარი
მსაჯი: ფარინა
32 642 მაყურებელი

**კიევო 0:0 უდინეზე**

კიევო: მარკეჯანი, მალაგო, მანდელი, დანა, ს. ლანა, სემიოლი, ბრიგი, ბარონიო (ალეგრეტი 86), დ. ფრანჩესკინი (დე ფრანჩესკი 81), ფ. კოსატო (პელისიერი 63), ამაური
მწვრთნელი: მარიო ბერეტა

უდინეზე: დე სანკტისი, ბერტოტო (ბელერი 70), კრიბარი, ფელიპე, იანკულოვსკი, პინცი, მუნტარი, დი მიკელე (მაური 63), დ. პიზარო, დი ნატალე, იაკინტა
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: ამაური, პიზარო, იანკულოვსკი, კრიბარი
მსაჯი: საკანი
7 375 მაყურებელი

**კალიარი 2:0 სიენა**

1:0 ესპოზიტო (19), 2:0 სუაცო (77)
*ესპოზიტომ ვერ გაიტანა პენალტი (19, მეკარე)*
კალიარი: კატერიანაკისი, დ. ლოპესი, მალტალიატი, ბეგა, აგოსტინი, აბეიხონი, ბრამბილა (კონტი 67), გობი, მ. ესპოზიტო, ლანგელა (ალბინო 62), სუაცო (ლორია 79)
მწვრთნელი: დანიელე არიგონი
სიენა: მანინგერი, მინანი, ჩირილო, ნიკოლა, კოლონეზე, პეკია (ფლო 70), დი დონატო, ვერგასოლა, კამორანი (მენეგაცო 46), კიეზა, კარპარელი (გრაფიედი 58)
მწვრთნელი: ლუიჯი სიმონი
გაფრთხილება: ბრამბილა, ჩირილო, კატერიანაკისი, კარპარელი, ალბინო, დი დონატო
მსაჯი: პიერი
12 000 მაყურებელი

**რეჯინა 2:1 ლივორნო**

1:0 ბონაცოლი (9), 1:1 კ. ლუკარელი (31), 2:1 კოლუჩი (61)
რეჯინა: პავარინი, კანარზა, დე როზა, ი. ფრანჩესკინი (ძამბონი 83), მესტო, ჯ. კოლუჩი (პარედესი 70), მოცარტი, ტედესკო, ბალესტრი, ნაკამურა, ბონაცოლი (ბორიელო 75)
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
ლივორნო: ამელია, გრანდონი, ხ. ვარგასი (ბალერი 58), მელარა, ა. ლუკარელი, ვიდიგალი, რუოტოლო, პფერცელი, კორდოვა (ვიჯანი 68), კ. ლუკარელი, კოლომბო (პროტი 68)
მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა
გაფრთხილება: პავარინი, კ. ლუკარელი, მესტო, ვიდიგალი, მოცარტი, კორდოვა, ნაკამურა, რუოტოლო
მსაჯი: მაცოლენი
15 000 მაყურებელი

**ვაიმე!** კიდევ კარგი სავარაუდო შემადგენლობებში შეცდომით ეწერა კახა კალაძის გვარი და სინამდვილეში კარლო ანჩელოტიმ ის არ ათამაშა. ერთი სიტყვით, შეგვძლიათ თავი იმით დავიწყნაროთ, რომ კალაძეს „სან სიროზე“, „მესინასგან“ „მილანის“ რბევაში ბრალი არ მიუძღვის. თუმცა, სხვა საქმეა, რომ ქართველ გულშემატკივარს ჩვენი ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი გავარჯიშებული და ფორმაში ჩამდგარი გვირჩევნია.

ასე და ამგვარად, „მესინამ“ სერია A-ს გრანდებიდან უკვე მეორეს აჰხადა სკალპი: შეგახსენებთ, რამდენიმე დღის წინ მას „რომა“ ესტუმრა და 3:4 მიიღო, ახლა კი მთლად ჩემპიონი. რაც შეეხებათ, „შავ-წითლებს“, მათ სულ პირველ შეხვედრაში „ლივორნოსთან“ 2:2-ზე უკეთესი ვერაფერი მოახერხეს, მეორეში ბოლონიაში 2:0 იყოჩაღეს, მაგრამ მესამეში, როგორც ხედავთ, ქარს გაატანეს მეორეში ჩასახული იმედი.

კარლო ანჩელოტი: „ჩვენ უკიდურესად თავდადებულ, დამარცხებასთან შეურიგებელ გუნდთან მოგვიწია თამაში. ვალდებულნი ვართ მესინელებს ტაში დავუკრათ, მათ დაიმსახურეს გამარჯვება, ჩვენ კი დაცვაში მეტი ყურადღებით უნდა გვეთამაშა. ისე ნუ წარმოიდგენთ, რომ ჩემმა ფეხბურთელებმა უცბად დაივიწყეს ფეხბურთის თამაში, მაგრამ რაღაც-რაღაც აშკარად დასახვეწი გვაქვს“.

ასეთი გახლდათ შუა კვირაში გამართული ტურის ყველაზე სენსაციური შედეგი, ჩვენ კი (მართალია კარგად გვესმის, რომ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არ არსებობს) შეგვიძლია უბრალოდ აღვნიშნოთ, რომ „მილანმა“ სამი თამაშიდან მოიგო ის, რომელშიც კალაძე ათამაშა, დანარჩენი ორი კი წააგო.

რაც შეეხება „იუვენტუსს“, თუ არ გვეჩვენება, მაშინ უნდა დავსვათ კითხვა, ეს ფაბიო კაპელო ჯადოქარია თუ რას უკეთებს ამ გუნდებს ასეთს, ხელის ერთი დაქნევით მეტოქეების მყლაპველი ურჩხულები რომ ხდებიან — „ბებერმა ქალბატონმა“ გენუაში „სამპდორიას“ 3:0 მოუგო და სამი თამაშიდან სამი გამარჯვებით, ბუნებრივია, ცხრილში პირველ ადგილზეა. ამ შეხვედრაში იყო რამდენიმე აღსანიშნავი მომენტი. პირველი — პენალტი, რომელიც დელ პიერომ დაარტყა და რომლითაც ანგარიში გაიხსნა, საეჭვო გახლდათ. ალბათ, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ მსგავს დარღვევებზე, მსაჯები ჩვეულებრივ არაფერს ამბობენ. მეორე — „სამპდორია“ მეტისმეტად მოწადინებული და აღგზნებული გახლდათ. მეორე ტაიმში, როდესაც ფაბიო კანავარომ მეტოქეს საჯარიმოში ბურთი გასრიალებით კუთხურზე გადაუგდო, მათ კინაღამ დიდი ჩხუბი ასტეხეს, პენალტს ითხოვდნენ. მესამე — ფაბიო კაპელოსთვის ალესანდრო დელ პიერო ხელშეუხებელი და პრიმადონა არ არის, იგი 63-ე წუთზე ზლატან იბრაჰიმოვიჩით შეცვალა. მეოთხე — „იუვედან“ [illegible] გაიტანა. და მეხუთე — დავიდ ტრეზეგემ [illegible] უკვე მეოთხე გოლი შეაგდო.

მაგრამ, თუ ბომბარდირებზე და მეგოლეებზე შევჩერდებით, აუცილებლად უნდა ვახსენოთ ბულგარელი ვარსკვლავბიჭი ვალერი ბოჟინოვი, რომელმაც ამჯერად „რომას“ გაუტანა და მასაც ტრეზეგესავით სამი თამაშიდან ოთხი დაუგროვდა. მატჩი დამთავრდა ფრედ 2:2, რაც მეორე მხრივ „რომასთვის“ შეიძლება საოცნებო შედეგი სულაც არ არის, მაგრამ დადებითი მომენტებიც ახლდა. კერძოდ, რომაელთა თავდასხმაში ისევ გამოჩნდა ანტონიო კასანო, რომელმაც გააკეთა ის, რაც თავდამსხმელს ევალება — გოლი გაიტანა.

„ინტერმა“ კი ორი ტურის ფრეების შემდეგ მოიგო. ეს ბერგამოში, „ატალანტასთან“ მოხდა. ამასთან დაკავშირებით, მილანელთა მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ განაცხადა:

„დაწყებით კარგად დავიწყეთ, შემდეგ მეტოქეს გოლი ვაჩუქეთ და მეორე ტაიმში ძალების თავიდან მოკრება მოგვიხდა. დღეს ჩვენ გამარჯვებას ვიმსახურებდით, არადა, 2:2 რომ გახდა, უკვე აღარ მქონდა მოგების იმედი“.

საინტერესოდ თამაშობს მანჩინის ყოფილი გუნდი „ლაციოც“, რომელმაც ბრეშაში იმარჯვა და ცხრილშიც არ ჩანს ცუდად.

**პაპუნა ძიძია**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 იუვენტუსი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:0 | 8 | 9 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 | 6 |
| 2 ლაციო | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 7 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 6 |
| 3 მესინა | 3 | 2 | 1 | 0 | 6:4 | 2 | 7 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:3 | 1 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 |
| 4 კალიარი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 2 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 5 უდინეზე | 3 | 1 | 2 | 0 | 4:0 | 4 | 5 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 3 | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 0 | 2 |
| 6 ლეჩე | 3 | 1 | 2 | 0 | 8:5 | 3 | 5 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 | 2 | 0 | 2 | 0 | 4:4 | 0 | 2 |
| 7 ინტერი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:5 | 1 | 5 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 1 | 4 |
| 8 კიევო | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 1 | 5 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 9 რეჯინა | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 1 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 10 პალერმო | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 1 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 11 მილანი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 1 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 |
| 12 რომა | 3 | 1 | 1 | 1 | 6:6 | 0 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 3:4 | -1 | 0 |
| 13 ფიორენტინა | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 0 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | -1 | 1 |
| 14 სიენა | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | -2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | -3 | 0 |
| 15 ბოლონია | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | -2 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 |
| 16 ლივორნო | 3 | 0 | 1 | 2 | 4:6 | -2 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 1 |
| 17 ატალანტა | 3 | 0 | 1 | 2 | 4:7 | -3 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 4:5 | -1 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 18 პარმა | 3 | 0 | 1 | 2 | 1:6 | -5 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | -4 | 0 |
| 19 სამპდორია | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | -5 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | -4 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 20 ბრეშა | 3 | 0 | 0 | 3 | 1:9 | -8 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | -5 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 0 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 4 |
| ბოჟინოვი (ლეჩე) | 4 |
| მონტელა (რომა) | 4 |
| ადრიანო (ინტერი) | 3 |

**IV ტური**

26 სექტემბერი

| | | |
|---|---|---|
| ბოლონია | : | რომა |
| ფიორენტინა | : | სამპდორია |
| ინტერი | : | პარმა |
| იუვენტუსი | : | პალერმო |
| ლაციო | : | მილანი |
| ლეჩე | : | კალიარი |
| ლივორნო | : | ატალანტა |
| მესინა | : | კიევო |
| სიენა | : | რეჯინა |
| უდინეზე | : | ბრეშა |

### სერია B. III ტური

**არეცო 0:0 ასკოლი**

**კატანძარო 2:3 კატანია**

0:1 თ. მანფრედინი (17), 1:1 კორონა (22პ), 2:1 ბ. კარბონე (53პ), 2:2 კ. ბაჯო (59პ), 2:3 ბრუნო (61)

**ჩეზენა 1:1 ბარი**

1:0 ბერნაჩი (34), 1:1 მოტა (59)

**ემპოლი 1:1 ტერნანა**

1:0 ტავანო (73პ), 1:1 მ. ვიერი (65)

**მოდენა 1:0 პიაჩენცა**

1:0 განცი (53)

**პერუჯა 2:0 ტრევიზო**

1:0 დი ლორეტო (36), 2:0 ფ. პინტუ (73)

**პესკარა 1:3 ალბინოლეფე**

0:1 გორი (36), 0:2 ტეანი (58), 1:2 კალაიო (62პ), 1:3 პოლონი (78)

**სალერნიტანა 3:3 ტრიესტინა**

1:0 შალა (18), 1:1 გოდეაში (24), 1:2 პრინჩივალი (37), 1:3 მოსკარდელი (45), 2:3 მენდილი (53), 3:3 პალადინო (74)

**ტორინო 2:1 ჯენოა**

0:1 ლამუში (59), 1:1 კალიარელა (63), 2:1 მარაცინა (73)

**ვენეცია 3:2 ვერონა**

0:1 ბოგდანი (10), 0:2 დ. ბლაზი (21), 1:2 გვიდონი (52), 2:2 დ. ანდერსონი (70), 3:2 გვიდონი (79)

**ვიჩენცა 3:2 კროტონე**

1:0 შვოხი (24), 1:1 ალტერი (33), 2:1 რანტიერი (75), 3:1 მოსკარდი (79), 3:2 ვანტაჯატო (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორინო | 3 | 3 | 0 | 0 | 8:2 | 9 |
| ალბინოლეფე | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 9 |
| არეცო | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| პერუჯა | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| ემპოლი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| ჩეზენა | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| ვიჩენცა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| პიაჩენცა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| კატანია | 3 | 2 | 0 | 1 | 5:5 | 6 |
| ჯენოა | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| ტრიესტინა | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| სალერნიტანა | 3 | 0 | 3 | 0 | 4:4 | 3 |
| ვენეცია | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| ტერნანა | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| ბარი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 1 |
| ასკოლი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |
| ტრევიზო | 3 | 0 | 1 | 2 | 1:6 | 1 |
| მოდენა | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 0 |
| კროტონე | 3 | 0 | 0 | 3 | 3:6 | 0 |
| ვერონა | 3 | 0 | 0 | 3 | 3:7 | 0 |
| პესკარა | 3 | 0 | 0 | 3 | 2:7 | 0 |
| კატანძარო | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | -2 |

*„ბარის“ დაკლებული აქვს 1 ქულა, „მოდენას“ 4 ქულა, „კატანძაროს“ 5*

# ჯიჯის ქება მხარდაჭერა ტურინიდან

*„რომას“ ფორვარდმა, ანტონიო კასანომ სეზონი რომ პრობლემებით დაიწყო, მოგეხსენებათ, მაგრამ ისიც მოგეხსენებათ, რომ ბოლო დროს ბედმა თითქოს მისკენ მიიხედა — ერთი იყო და სადისციპლინო კომიტეტმა ორთამაშიანი დისკვალიფიკაცია ერთამდე შეუმცირა, რის შედეგადაც მან ოთხშაბათს ლეჩეში ითამაშა და გოლიც გაიტანა, ახლა კი, „იუვენტუსიდან“ იტალიის ნაკრების მეკარემ, ჯანლუიჯი ბუფონმაც მიაწვდინა მხარდაჭერის ხმა*



ანტონიო კასანო ჯანლუიჯი ბუფონის აზრით, „რომის“ ნამდვილი ლიდერია





**„მართალია,** კასანომ რამდენიმე სრულიად სულელური შეცდომა დაუშვა, მაგრამ ის, რომ ნამდვილი ლიდერი და ვარსკვლავია, მოედანზე მტკიცდება და კიდევაც დამტკიცდება — განაცხადა ქვეყნის პირველმა გოლკიპერმა — არეულობა კი, ყველა ფეხბურთელს გადახდება ხოლმე. აქ უბრალოდ დროა საჭირო, რომ ყველაფერი დამშვიდდეს და მოგვარდეს. ეჭვი არ მეპარება, რომ კასანოს კარგი სეზონი ელის“.

შეგახსენებთ კასანოს პრობლემებს: პირველ ტურში, „ფიორენტინასთან“ მეტოქის მცველის წინაალმდეგ იხულიგნა და ამისთვის მოედნიდან გააძევეს. ასეთი გაუაზრებელი ქცევით აღშფოთებულმა „რომას“ ხელმძღვანელობამ ფეხბურთელის სამი დღით დასჯა გადაწყვიტა. იმავდროულად, საფეხბურთო ჩინოვნიკებმა კასანოს ორთამაშიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, კასანო შეჰკამათებია „რომას“ მწვრთნელს, რუდი ფიოლერსაც. თუმცა, ახლა საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ გაჭირვებამ ჩაიარა და კასანო მოედანს უბრუნდება.

**ბაჩუნა ძიდია**

# ადრიანომ რონალდოობა უარყო

